ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში
განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
(სახელი, გვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: რუსუდან თედორაძე
(სახელი, გვარი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში
განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

| წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება: | <u>ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს:</u> |
|---|---|
| მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პასუხისმგებელმა პირმა (დირექტორის მოადგილე ნინო გომელაური) წარმოადგინა , პროფესიული სტანდარტის საფუძველზე **შექმნილი 7 მოქმედი და 2 გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** (დირექტორის 2013 წლის 15.04 № 8 ბრძანებით დამტკიცებული შესულია ცვლილებები ბრძ №7 18.03.2016, , ბრძ №13 15.05.2016), ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.<br>**პროგრამების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:**<br>1. წინაპირობებით განსაზღვრული არ არის ქართულენოვან და რუსულენოვან პროგრამებზე უცხოენოვნი აპლიკანტების ენის ფლობის კომპეტენციის განსაზღვრის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე ვერ დგინდება ფლობს თუ არა სტუდენტი პროგრამის ასათვისებლად იმ ენას რა ენაზეც ხორციელდება | მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პასუხისმგებელმა პირმა (დირექტორის მოადგილე ნინო გომელაური) წარმოადგინა დირექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის ბრძანება#66 ცვლილებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;<br>**პროგრამების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:**<br>1. **ხარვეზი გასწორებულია:** ყველა სასწავლო პროგრამაში წინაპირობად განსაზღვრულია სწავლების ენის შესაბამისად პროგრამის განხორციელების ენის ფლობა;ძირითადად გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი:<br>• მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და რომელსაც უდასტურდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პროგრამა;<br>2. სწავლების მეთოდოლოგია: პროგრამის ძირითად დოკუმენტში მოცემულია მეთოდოლოგიური ხედვა, რაც სილაბუსებში ადექვატურად არ არის ასახული.შინაარსობრივ ნაწილში მიეთითება მხოლოდ საკონტაქტო საათები. სტუდენტთა დატვირთვაში გაურკვეველია სწავლების რა მეთოდებს იყენებს მასწავლებელი და რა მოცულობით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 121/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.<br>3. სტუდენტის შეფასებით ნაწილში თეორიული კომპონენტის შეფასების ინსტრუმენტები ერთნაირია ყველა სილაბუსში. ასევე დარღვეულია სტუდენტის შეფასების ქულათა ჯამი სილაბუსებში,იმ სილაბუსებში, სადაც სწავლის შედეგი ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, სილაბუსით გათვალისწინებულია მხოლოდ თეორიული კომპონენტის შეფასება.<br>4. „საბანკო საქმის საფუძვლების“ სილაბუსში (საგნის მასწავლებელი [redacted]) საგნის შინაარსი შეუსაბამოა მითითებულ ლიტერატურასთან და სილაბუსში მითითებულ სწავლის შედეგზე ამ წიგნის შესწავლით ვერ გავა.<br>5. მოდულურ პროგრამაზე-ბანკის მოლარე-ოპერატორი პროგრამა არ არის სრულად ადაპტირებული. რეკომენდაციაა მოდულები მოერგოს კოლეჯს - ყველგან მიეთითოს კოლეჯის დასახელება, აუდიტორიის ნომერი და ა.შ.<br>6. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მითითებული არ არის პრაქტიკის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი (პრაქტიკის | ქართული ენის ცოდნა A2 დონეზე. ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს: ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო ქართულ ენაზე; ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, თუ პირი ვერ წარმოადგენს ასეთ დოკუმენტს, მიმღები კომისია უტარებს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას, რომლის დადებითი შედეგიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.<br>• ხოლო მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების სრული საფეხური და რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა B1 დონეზე. ქართული ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს: ატესტატი, თუ პირმა სასკოლო განათლება მიიღო ქართულ ენაზე; ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის გავლის დოკუმენტი, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენის გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი, თუ პირი ვერ წარმოადგენს ასეთ დოკუმენტს, მიმღები კომისია უტარებს ენის კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას, რომლის დადებითი შედეგიც აკმაყოფილებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.<br>• დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მიმღები კომისიის მიერ ოქმით დამტკიცებული ქართული ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტის ნიმუშები, რომლებიც უკვე გამოიყენა აპლიკანტებთან 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე. აპლიკანტების მიერ შევსებული ტესტის ვარიანტები განთავსებულია მათ პირად საქმეებში ;<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** დირექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის ბრძანება #66 -ით, ცვლილებები შესულია ყველა სასწავლო პროგრამის/სილაბუსების სწავლების მეთოდოლოგიაში: პროგრამის ძირითად დოკუმენტში მოცემულია მეთოდოლოგიური ხედვა, რაც |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხელმძღვანელი).<br>7. ერთ-ერთი მოდულის პრაქტიკის განხორციელების ადგილად მითითებულ შპს „კრალი“ და შპს „კრალ-XXI“ მიმდინარე ხელშეკრულება არ არსებობს.<br>8. დაწესებულებას არ გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი მობილობით და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის. აქედან გამომდინარე გაურკვეველი რჩება რის საფუძველზე მოხდება ასეთი სტუდენტების დაწესებულებაში ჩარიცხვა. | სილაბუსებში ადექვატურად არის ასახული. **ასევე სილაბუსებში მითითებულია საათების განაწილება სასწავლო კვირეების მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და სწავლების მეთოდოლოგიას;**<br>3. **ხარვეზი გასწორებულია:** ცვლილებებით დამტკიცებულ პროგრამებში მითითებულია სტუდენტის შეფასების ზოგადი წესი, სადაც მითითებულია, რომ სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:<br>**<u>თეორიული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:</u>**<br>• მიმდინარე შეფასება 30 ქულა;<br>• შუალედურ გამოცდა 30 ქულა;<br>• დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.<br>**<u>პრაქტიკის კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც გადანაწილდება შემდეგ კომპონენტებზე:</u>**<br>• დასწრება-აქტიურობა 20 ქულა;<br>• მიმდინარე შეფასება 20 ქულა;<br>• შუალედურ გამოცდა 30 ქულა;<br>• დასკვნითი გამოცდა 30 ქულა.<br>**რაც სილაბუსებში ჩაშლილია სასწავლო კურსის მისაღწევვი სწავლის შედეგების გათვალისწინებით;**<br>4. **ხარვეზი გასწორებულია:** **<u>„საბანკო საქმის საფუძვლების“ სილაბუსში</u>** (საგნის მასწავლებელი [redacted] [redacted]) საგნის შინაარსის მითითებულ ლიტერატურასთან თანხვედრის და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დაწესებულებამ დაამატა სასწავლო სახელმძღვანელოები, კერძოდ: საბანკო საქმე -- მ. გოგოხია, თბილის 2008 წ, საქართველოს შრომის კოდექსი 2017, რომლებიც სრულად მოიცავს აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგის იმ თემატიკას, რომლის მიღწევა შეუძლებელი იყო;<br>5. **ხარვეზი გასწორებულია:** ვიზიტის პირველ დღეს ბანკის მოლარე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზ.ა.

| | |
|---|---|
| | ოპერატორის მოდულური პროგრამა არ იყო სრულად ადაპტირებული (აუდიტორიები მითითებული იყო ფანქრით), რაც გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2017 წლის 16 ოქტომბრის N 76 ბრძანებით, განხორციელდა ცვლილებები მოდულურ პროგრამაში-ბანკის მოლარე-ოპერატორი პროგრამა/მოდულები სრულად ადაპტირდა და მოერგო კოლეჯს - ყველგან მიეთითა კოლეჯის დასახელება და აუდიტორიის ნომერი;<br>6. **ხარვეზი გასწორებულია:** ცვლილებებით დამტკიცებულ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში მითითებულია პრაქტიკის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი (პრაქტიკის ხელმძღვანელი).<br>7. **ხარვეზი გასწორებულია:** დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ერთ-ერთი მოდულის პრაქტიკის განხორციელების ადგილად მითითებულ შპს „კრალთან“ და შპს „კრალ-XXI“–თან მიმდინარე ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია 2015 წლის 17 აგვისტოს 5 წლის ვადით;<br>8. **ხარვეზი გასწორებულია:** დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის №58 ბრძანებით შევიდა ცვლილება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. კერძოდ, თავი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესი დაზუსტდა ჩანაწერი მსგავს შემთხვევაში როგორ ხდება პროფესიული სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მტკიცდება დირექტორის მიერ; |

დასტურდება:

1. **შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის N 66 ბრძანებით დამტკიცებული:**

- მოლარის პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა მესამე საფეხური;
- ექთნის თანაშემწის პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა მესამე საფეხური;
- პრაქტიკოსი ექთნის პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა მეხუთე საფეხური;
- პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა მეხუთე საფეხური;
- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა მეხუთე საფეხური;

2. **შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 16 ოქტომბრის N 76 ბრძანებით დამტკიცებული:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

- მოლარე-ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მესამე საფეხური;

3. დირექტორის ბრძანებები პროგრამების ცვლილებებით დამტკიცების თაობაზე;
4. შპს კრალთან და შპს კრალ XXI გაფორმებული ხელეკრულებები;
5. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის №58 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
6. ქართული ენის დონის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები(პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული ტესტები)

**1.1. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

| წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება: | ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის მეორე ვიზიტის დროს: |
|---|---|
| ❖ მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მიერ 2015 წლის 20 აგვისტოს N18 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. **შიდა სამართლებრივი აქტის ექსპერტული შეფასებისა და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესწავლის პროცესში, გამოვლინდა შემდეგი პრობლემური ხასიათის საკითხები:**<br>1. **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 თავი დათმობილი აქვს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს,** მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ **კოლეჯმა მოცემული პროცედურა არ დაიცვა** , **კერძოდ:** მიმღებ კომისიას არ შეუსწავლია დეტალურად პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის | ❖ მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მიერ 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.<br>1. **ხარვეზი გასწორებულია:** სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავი დათმობილი აქვს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ კოლეჯმა მოცემული პროცედურა დაიცვა 2017 წელს(საშემოდგომო მიღება) დარეგისტრირებულ პირებთან და პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღნიშნული რეგულაციის დაცვით მიანიჭა რეგისტრანტებს და შესაბამის ვადებში მოხდა მათი რეესტრში ასახვა;<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი (როგორც შიდა, ასევე გარე მობილობა) განსაზღვრულია ზემოთ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასაც ადასტურებს როგორც მიმღები კომისიის სხდომის ოქმი, ასევე ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, რომელთაც საერთოდ არ აქვთ წარმოდგენილი შესაბამისი ზოგადი განათლების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან წარმოდგენილი აქვთ უცხო ქვეყანაში მოპოვებული ზოგადი განათლების დოკუმენტაცია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აღიარების პროცედურების გავლის გარეშე. ასევე მიმღებ კომისიას არ შეუმუშავებია და აპლიკანტებს არ ჩაუბარებიათ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულო შესაბამისი ტესტები.

2. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი (როგორც შიდა, ასევე გარე მობილობა) განისაზღვრება ზემოთ განხილული შიდა სამართლებრივი აქტის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავის მიხედვით. ექსპერტების მიერ მარნეულის სამედიცინო კოლეჯში განხორციელებული შიდა და გარე მობილობის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ის პროცედურა რომელიც განისაზღვრება მოცემული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავის, მე-4 მუხლით კოლეჯს არ დაუცვია. კერძოდ, გარე მობილობის განხორციელების დროს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს არ განუხილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა ორგანიზაციის ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და დირექტორის 2017 წლის 30 მარტის N9 ბრძანების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირდაპირ მიენიჭა - მითითებით, რომ გარე მობილობით გადმოსული სტუდენტი ჩაირიცხება იმ ჯგუფში, რომელთაც დაეწყოთ სასწავლო პროცესი 2016 წლის 19 სექტემბერს.

ასევე დარღვეული მე-6 თავის მე-5 მუხლით დადგენილი შიდა მობილობის პროცედურები. კერძოდ, შიდა მობილობის მსურველ

განხილული შიდა სამართლებრივი აქტის - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავის მიხედვით. ექსპერტების მიერ მარნეულის სამედიცინო კოლეჯში განხორციელებული გარე მობილობის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ის პროცედურა რომელიც განისაზღვრება მოცემული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 თავის, მე-4–5 მუხლით დაცული აქვს. კერძოდ, გარე მობილობის განხორციელების დროს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილულია პროფესიული სტუდენტის([redacted]) მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა ორგანიზაციის ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან და ამის შემდეგ მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

3. **ხარვეზი გასწორებულია:** 2017 წლის შემოდგომით ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის მოპოვების დროს დაცულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნა, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონულ რეესტრში ინფორმაციის შეტანას.

4. **ხარვეზი გასწორებულია:** მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ქართულ ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი პროცედურები გაწერილია დირექტორის 2016 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N 24, რომელიც ადასტურებს რომ ბანკის მოლარე ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ ქართული ენის მოდულის ცოდნის დასადასტურებლად შეფასება შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ და მიენიჭათ მოდულით გათვალისწინებული კრედიტები;ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები სადაც განთავსებული იყო ქართული ენის მოდულის შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები;

5. **ხარვეზი გასწორებულია:** კორექტირებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის საფუძველზე სტუდენტის სტატუსის აღდგენა კოლეჯში განხორციელდება პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პირებს არ აქვთ დაწერილი განცხადება, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შიდა მობილობის მსურველ პირთა მიერ გავლილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ორი სხვადასხვა კვალიფიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმები; სასწავლო გრაფიკი, დისციპლინები და კრედიტების რაოდენობა არის იდენტური, შესაბამისად მობილობა უნდა განხორციელდეს შუა სასწავლო პროცესში ფაქტობრივი გარემოებების ყოველგვარი დეტალური შესწავლის გარეშე.<br>3. როგორც სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ასევე, შიდა და გარე მობილობის დროს არ არის დაცული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნა, რომელიც შეეხება 7 დღის ვადაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონულ რეესტრში ინფორმაციის შეტანას.<br>4. მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ქართულ ენაში ცოდნის დონის განსასაზღვრად პროცედურები განისაზღვრა, თუმცა შესრულდა თუ არა ვერც წერილობითი ფორმით და ვერც ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით ვერ დადგინდა.<br>5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა კოლეჯში ხორციელდება ფატობრივი გარემოებების ყოველგვარი შესწავლის გარეშე - რამდენი კრედიტი ქონდა სტუდენტს დაგროვილი სტატუსის შეჩერებამდე, რა ეტაპიდან იწყებს სწავლას და ა.შ.<br>6. ნაწილი ხელშეკრულებების დადებულია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან,ზოგიერთ სასწავლო ხელშეკრულებაზე საერთოდ არ არის სტუდენტის ხელმოწერა;<br>7. კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებს არ ერთვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელშემკვრელ მხარედ მითითებულია არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, ხოლო ხელს აწერს გაურკვეველი პიროვნება - აპლიკანტის დედა/მამა და ა.შ.; | შესწავლის საფუძველზე, კერძოდ რამდენი კრედიტი ქონდა სტუდენტს დაგროვილი სტატუსის შეჩერებამდე, რა ეტაპიდან დაიწყებს სწავლას და ა.შ.<br>6. **ხარვეზი გასწორებულია:** სასწავლო ხელშეკრულებები მოწესრიგებულია; ხელშეკრულებები დადებულია არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების კანონიერ წარმომადგენლებთან;კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებს ერთვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;<br>7. **ხარვეზი გასწორებულია:** პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსებულია დაბადების მოწმობის ასლი და ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი შევსებული ტესტი; **ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების შესწავლის დროს ექსპერტების მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან რომლის შედეგად გამოიკვეთა,** რომ რიგ სტუდენტებს გაუჭირდათ მარტივი საკომუნიკაციო ფრაზების გაგება და პასუხის გაცემაც, დასჭირდათ თანაკურსელის დახმარება, რომ გადაეთარგმნათ შეკითხვის შინაარსი ; დაწესებულების წარმომადგენელმა ზ/აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტა რომ ახალჩარიცხულ სტუდენტებთან ჯერ არ დაწყებულა ქართული ენის დამატებითი გაკვეთილები,ასევე მან წარმოადგინა 2016 წლის 31 აგვისტოს გამოცემული დირექტორის ბრძანება N19 რომლის შინაარსით ირკვევა რომ პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება დამატებითი მეცადინეობები ქართული ენის შესწავლის მიზნით;<br>8. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,სადაც ნათლადაა გაწერილი საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის პროცედურები;<br>9. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| 8. იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც 2016 წელს მიენიჭათ კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და სწავლა განაგრძეს ჯერ მე-4, ხოლო შემდეგ მე-5 საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, არ აქვთ დაწერილი შესაბამისი განცხადება და არ აქვთ გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულება.<br>9. ნაწილ სტუდენტებს პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვთ უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების გარეშე. ნაწილ სტუდენტებს პროფესიული კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების გარეშე;<br>10. [redacted] პროფესიული კვალიფიკაცია ორჯერ აქვს მინიჭებული ზოგადი განათლების ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე, ადმინისტრაციის განმარტებით მას ქონდა წარმოდგენილი სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტისათვის ატესტატი, რომელიც შემდეგ გაიტანა, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (განცხადება გატანის თაობაზე, ატესტატის ასლი და ა.შ.) ადგილზე არ მოიძებნა.<br>11. სამ პროფესიულ სტუდენტს - [redacted] -პირად საქმეში არ უდევს ზოგადი განათლების ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი - ადმინისტრაციის განმარტებით მათ ჰქონდათ წარმოდგენილი სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტისათვის ატესტატი, რომელიც შემდეგ გაიტანეს, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (განცხადება გატანის თაობაზე, ატესტატის ასლი და ა.შ.) ადგილზე არ მოიძებნა;<br>12. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით შევსებულ განცხადებების ნაწილში მითითებულია ორი სპეციალობა. ადმინისტრაციის განმარტებით, მეორე სპეციალობა ეს იყო ჩანიშვნა/მინიშნება აპლიკანტის სურვილის შემდგომში ესწავლა | მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია რომ პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროფესიულ პროგრამაზე;<br>10. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია რომ პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი, [redacted] პირად საქმეში ამ ეტაპზე განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2017 წლის 07 აგვისტოს გაცემული მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;<br>11. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მექანიზმები რაც დაწესებულების მიერ ამ ეტაპზე დაცულია, რაც შეეხება [redacted] – პირად საქმეში უდევს საბაზო ზოგადი განათლების ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტის დუბლიკატის ასლი; [redacted] პირად საქმეში არ უდევს ზოგადი განათლების ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი მას დირექტორის 2016 წლის 04 ნოემბრის ბრძანება N27 შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი; [redacted] -პირად საქმეში არ უდევს ზოგადი განათლების ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი მას დირექტორის 2016 წლის 29 თებერვლის ბრძანება N5 შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;<br>12. **ხარვეზი გასწორებულია:** პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით შევსებულ განცხადებების ნაწილში მითითებული ორი სპეციალობიდან ერთ ერთი ( სასერთიფიკატო პროგრამის დასახელება) იყო ფანქრით მიწერილი, რაც დაწესებულებამ წაშალა და წარმოადგინა განცხადებები ერთი სპეციალობის მითითებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| კოლეჯის მიერ განხორციელებულ სასერტიფიკატო პროგრამაზე;<br>13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირების მიერ შევსებული განაცხადების ნაწილის სარეგისტრაციო ნომერი არ ემთხვევა შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულ სარეგისტარაციო ნომრებს;<br>14. აპლიკანტების მიერ დოკუმენტაცია შემოტანილია მარნეულის დირექტორის 2016 წლის 10 მაისის N12 ბრძანებით განსაზღვრული სარეგისტრაციო ვადების დარღვევით.<br>15. 2017 წლის 30 მარტს განხორციელებული გარე მობილობის დროს არ არის წინასწარ მიღებული რაიმე შიდა სამართლებრივი აქტი, რომლის ფარგლებშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი გარე მობილობის განხორციელების პროცესი, იქნება ეს გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ პირთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის თუ შესაბამის პროგრამაზე მობილობის საფუძველზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებისთვის ვადები და ა.შ. ამასთან მობილობა განხორციელდა, როგორც ზემოთ უკვე აღვწერეთ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროცედურის დარღვევით, არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, არ მოხდა შესწავლა უკვე გავლილი სასწავლო კურსების და დაგროვილი კრედიტების, მათი შესაბამისობის განსაზღვრა იმ პროგრამასთან რომელზეც განხორციელდა მობილობა და ა.შ.<br>16. 2017 წლის 06 თებერვალს კბილის ტექნიკოსის მეხუთ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა ოთხმა პროფესიულმა სტუდენტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ ამავე კოლეჯის მეოთხე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებულებს. მეხუთე საფეხურზე სტუდენტების ჩარიცხვა განხორციელდა წინასწარ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის მომზადების გარეშე - არ იყო გამოცხადებული მიღება პროგრამაზე, პროფესიულ სტუდენტებს არ დაუწერიათ განცხადება მეხუთე საფეხურზე პროფესიული | 13. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა 2017 წლის შემოდგომის მიღებისას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირების მიერ შევსებული განაცხადების ნაწილის სარეგისტრაციო ნომერი ემთხვევა შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულ სარეგისტარაციო ნომრებს;<br>14. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა 2017 წლის შემოდგომის მიღებისას აპლიკანტების მიერ დოკუმენტაცია შემოტანილია მარნეულის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სარეგისტრაციო ვადების დაცვით.<br>15. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია გარე მობილობის პროცედურები,რომლის ფარგლებშიც დეტალურად არის გაწერილი გარე მობილობის განხორციელების პროცესი.<br>16. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დაამტკიცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, ამ ეტაპზე დაწესებულებას დაცული აქვს ეს პროცედურა 2017 წლის შემოდგომით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის, არ მომხდარა მათთან ხელშეკრულების გაფორმება, აღნიშნული სტუდენტებიდან ერთ-ერთს [redacted] პირად საქმეში არ უფიქსირდება ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (არც ორიგინალი, არც ასლი), ადმინისტრაციის განმარტებით მას ეს დოკუმენტი წარმოდგენილი ქონდა, თუმცა შემდგომ გაიტანა, ხოლო დანარჩენ სამ მათგანს წარმოდგენილი ქონდა უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აღიარების პროცედურების გავლის გარეშე, მათ პირად საქმეში დევს 2017 წლის 20 და 27 ივნისში გაცემული უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | |

დასტურდება:

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის №58 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;

**1.4.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;

| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:** | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის მეორე ვიზიტის დროს:** |
|---|---|
| 1. მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მიერ 2015 წლის 20 აგვისტოს N18 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განისაზღვრება, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძდ, თავი მერვე, მუხლი ორი დეტალურად განსაზღვრავს ამ მექანიზმებს. მაგრამ | 1. **ხარვეზი გასწორებულია:** დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა დირექტორის 2017 წლის 24 ივლისის N35 ბრძანება შემდეგი შინაარსით : ძალადაკარგულად გამოცხადდეს დირექტორის 2017 წლის 20 ივლისის N34 ბრძანება, რაც კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფხურის პროგრამის გაუქმებას აბათილებს, ექსპერტების შეკითხვაზე, თუ რატომ არ წარუდგინეს ეს ბრძანება პირველი ვიზიტისას მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტებს , |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| 2017 წელს მას მერე რაც გაუქმდა კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა, აღნიშნული პროცედურა სტუდენტების (ამ პროგრამაზე ირიცხება 4 პროფესიული სტუდენტი) შემდგომი განათლებით უზრუნველსაყოფად არ განხორციელებულა. მარნეულის სამედიცინო კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკულად განხორციელებას. | ქალბატონმა ნინო გომელაურმა განმარტა, რომ მან მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან გაიგო აღნიშნული გარემოების შესახებ; |

**დასტურდება:**
1.მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 20 ივლისის N34 ბრძანება მარნეულის სამედიცინო კოლეჯის კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის გაუქმების შესახებ;
2.მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 24 ივლისის N35 ბრძანება მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 20 ივლისის N34 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებს შესახებ;

**1.5.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

**2. მატერიალური რესურსი**

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:** | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის მეორე ვიზიტის დროს:** |
|---|---|
| 1. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო-ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწესრიგებულია, ქალების და მამაკაცების ცელ- ცალკე, | 1.ამ ეტაპზე ბიბლიოთეკაში და სამკითხველო დარბაზში ბუნებრივი განათების ნაცვლად გამოიყენება ხელოვნური განათება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ იგეგმება ბიბლიოთეკის და სამკითხველო დარბაზის გადატანა სხვა ოთახში, სადაც იქნება ბუნებრივი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| თანამშრომლებისთვის ცალკე, ასევე შშმ პირებისთვის არის ადაპტირებული.<br>ყველა სასწავლო აუდიტორიაში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. გამონაკლის წარმოადგენს ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც ბუნებრივი განათების ნაცვლად გამოიყენება დღის სინათლის ხელოვნური განათება. | განათების საშუალება; |

**დასტურდება:**

- ვიზუალური დათვალიერებით
- ინტერვიუს შედეგებით

**2.2.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

| | |
|---|---|
| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:**<br>**მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 15 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებულია „ორგანიზაციის საქმისწარმოების წესი“. თუმცაღა, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ საქმისწარმოება - გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა - კოლეჯში არც მოცემული შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით და არც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვით არ ხორციელდება.**<br>1. სარეგისტრაციო ჟურნალებიდან არც ერთი არ არის ზონარგაყრილი, დანომრილი, ბეჭედ დასმული და დალუქული.<br>2. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც თუმცა დანომრილი და აკინძულია, მაგრამ არა წლების მიხედვით;ბრძანებების სარეგისტრაციო ნომრები ხშირად იდენტურია და ერთმანეთისაგან იმიჯნება პარაგრაფებით, ასევე | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს:**<br>მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების მესამე თავში(მუხლი 1-15 ის ჩათვლით) გაწერილია საქმისწარმოების წესი;<br>რომლის საფუძველზეც დაწესებულებამ გახსნა ახალი სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც შესაბამისი წესით ზონარგაყრილი, დანომრილი, ბეჭედ დასმული და დალუქულია.<br>1. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ გახსნა ახალი სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც შესაბამისი წესით ზონარგაყრილი, დანომრილი, ბეჭედ დასმული და დალუქულია. დებულების ჩანაწერის მიხედვით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| გაურკვევლად ხდება მათი რეგისტრაცია სარეგისტრაციო ჟურნალში.ბრძანებებს არ ახლავს შესაბამისი დანართები, როდესაც ხდება რაიმე დოკუმენტის თუ პროგრამის დამტკიცება, შესაბამისად იდენტიფიცირება თუ რა დამტკიცდა გართულებულია.<br>3. არც ერთი სახის ხელშეკრულებები, იქნება ეს სასწავლო, ფინანსური ხასიათის თუ შრომითი არ რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში. სასწავლო ხელშეკრულებებს ენიჭებათ სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც იდენტურია აპლიკანტის მიერ შევსებული განცხადების სარეგისტრაციო ნომრის ;<br>4. რიგი სააპლიკაციო განცხადებებისათვის საერთოდ არ არის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ზოგიერთს მინიჭებული აქვს მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერი, მაგრამ არა თარიღი, ნაწილი განცხადებების სარეგისტრაციო ნომრების არ ემთხვევა აპლიკანტების სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულ ნომრებს.<br>5. **სამეთვალყურეო საბჭოს ოქმების სარეგისტრაციო ნომრების** მინიჭება გაურკვეველია როდის დაიწყო, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო ჟურნალი გახსნილია 2008 წლის 25 იანვარს, რიგით პირველი სხდომის ოქმს მინიჭებული აქვს N55 და გრძელდება 2009 წლის 15 დეკემბრამდე, შემდეგ სარეგისტრაციო ნომრების მინიჭება იწყება თავიდან, თუმცა არა რიგითი ნომრების და გრძელდება 2012 წლის 26 აპრილამდე, შემდეგ ზუსტად ანალოგიურად ხდება თავიდან სარეგისტრაციო ნომრების მინიჭება 2013 წლის 13 აპრილამდე, 13 აპრილიდან კი ნუმერაცია იწყება თავიდან, მაგრამ უკვე არა N1-ით, არამედ N2-ით და გრძელდება 2014 წლამდე და იწყება თავიდან უკვე 1 ნომრით. 2014- 15, 2016 და 2017 წ.წ. სარეგისტრაციო ჟურნალში ოქმების გატარება ხორციელდება ყოველწლიურად ახალი სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით, ერთიდაიმავე ჟურნალში, | ყოველ ახალ კალენდარულ წელს გაიხსნება ახალი სარეგისტრაციო ჟურნალები და შესაბამისად ნომერაცია თავიდან დაიწყება;<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ გახსნა ბრძანებების ახალი სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც შესაბამისი წესით ზონარგაყრილი, დანომრილი, ბეჭედ დასმული და დალუქულია.<br>3. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ გახსნა ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც შესაბამისი წესით არის დამუშავებული.2017 წლის შემოდგომის მიღებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო ხელშეკრულებები აღნიშნული წესით არის დარეგისტრირებული, ასევე შრომითი/მომსახურეობის ხელშეკრულებები დარეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალში.<br>4. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ აღნიშნული პროცედურა დაიცვა 2017 წლის საშემოდგომო მიღებით დარეგისტრირებულ პირებთან;<br>5. **ხარვეზი გასწორებულია:** დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულებაში საერთოდ გაუქმებულია სამეთვალყურეო საბჭო;<br>6. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ გახსნა გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზ.ა.

| | |
|---|---|
| რიგითი ნუმერაციის გაგრძელებით.ორგანიზაციის საქმისწარმოების წესის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს ნუმერაცია ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში.<br>6. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი გახსნილია 2008 წლამდე და დოკუმენტაციის რეგისტრაცია მიმდინარეობს დღევანდელ დღემდე, ყოველგვარი წყვეტის გარეშე, შესაბამისად სარეგისტრაციო ნომერი გადაცდა 700 ნომერს.<br>7. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი გახსნილია 2010 წლიდან და დოკუმენტაციის რეგისტრაცია მიმდინარეობს დღევანდელ დღემდე, ყოველგვარი წყვეტის გარეშე, სარეგისტრაციო ნომერი გადაცდა 200. | 7. **ხარვეზი გასწორებულია:** აღნიშნული ფაქტი რომ არ დადგეს შემდეგში, დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებულ დებულების საფუძველზე დაწესებულებამ გახსნა შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი ; |

**დასტურდება:**

- მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის ბრძანება #58 დამტკიცებული დებულებით;
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომათა სარეგისტრაციო ჟურნალი;
- შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი ;
- გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი ;
- აპლიკანტების სარეგისტრაციო ჟურნალი ;
- შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- დირექტორის ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;

**2.5.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება: | ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს: |
| --- | --- |
| **შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 04 სექტემბრის N29 ბრძანებით დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2013-19 წლებისთვის, ხოლო 2016 წლის 31 აგვისტოს N19 დამტკიცებულია 2016-17 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.**<br>1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული გეგმა 2013-19 წლებისთვის, მოიცავს მხოლოდ მიზნებსა და ამოცანებს და არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. არ არის განსაზღვრული გეგმა სხვადასხვა აქტივობების. ასევე არ არის გაწერილი მიზნებისა და ამოცანების რეალიზების პერიოდები, ფორმები, მექანიზმები.<br>2. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2013-19 წლებისთვის და 2016-17 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები რიგ შემთხვევაში ამცდარია და 2016-17 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მიზნები არ გამომდინარეობს/არ ემთხვევა 2013-19 წლის სტრატეგიული განვითარების მიზნებს. | **შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 12 სექტემბრის N60 ბრძანებით დამტკიცებულია შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2017-22 წლებისთვის და 2017–18 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.**<br>1. **ხარვეზი გასწორებულია:** შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული მოიცავს მიზნებსა და ამოცანებს,შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელი პირებს და რისკების შეფასებას, რაც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. გაწერილია მიზნებისა და ამოცანების რეალიზების პერიოდები, ფორმები, მექანიზმები.<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის და 2017-18 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია ერთმანეთთან; |

**დასტურდება:**

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 12 სექტემბრის N60 ბრძანებით დამტკიცებული შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2017-22 წლებისთვის;
2. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 12 სექტემბრის N60 დამტკიცებული 2017-18 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

**2.9.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

## 3. ადამიანური რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში
განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:** | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს:** |
|---|---|
| 1. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი, პერსონალის პირადი საქმეებით ირკვევა, რომ მათი შერჩევა და დანიშვნა არ განხორციელებულა კოლეჯის საშტატო განრიგისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით. კერძოდ, არ მოიძებნა რაიმე სახის დოკუმენტი რომლის საფუძველზეც საჯაროდ გამოცხადდა ვაკანსია, განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და პროცედურები. ასევე, კოლეჯმა გარდა საქმისმწარმოებლის ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული გასაუბრების შესახებ, ვერ შეძლო წარმოედგინა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმები, რომელიც შეეხებოდა ვაკანტურ პოზიციის დასაკავებლად ჩატარებულ გასაუბრებას. წარმოდგენილი ოქმითაც დგინდება, რომ ვაკანტურ პოზიციაზე შერჩეული კადრი არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, ამავე ოქმში ფიქსირდება კიდევ ერთი დარღვევა - სამეთვალყურეო საბჭოს არ ჩაუტარებია გასაუბრება და იგი დაეყრდნო კადრების მმართველის მოხსენებას, რომელიც ზეპირი ფორმით საბჭოს მოახსენებს ინფორმაციას კანდიდატის შესახებ და მიუხედავად იმისა რომ არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უწევს რეკომენდაციას მის დანიშვნას. რასაც იზიარებს სამეთვალყურეო საბჭო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქმისმწარმოებელი ასეთი საშტატო თანამდებობა კოლეჯში არ არსებობს, არის უფროსი საქმისმწარმოებელი და უმცროსი საქმისმწარმოებელი.<br>2. დარღვეული საშტატო განრიგის მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება შერჩეული კანდიდატების დანიშვნას ბრძანების გამოცემის გზით და შემდეგ მათთან შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას. კერძოდ, მარნეულის სამედიცინო | 1. **ხარვეზი გასწორებულია:** შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 46 დამტკიცებულია ახალი საშტატო განრიგი, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნები ახალი რედაქციით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს როგორც საშტატო პოზიციების დასახელებას, ასევე თანამდებობრივ ინსტრუქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი, პერსონალის პირადი საქმეებით ირკვევა, რომ 2017 წლის სექტემბერში მათი შერჩევა და დანიშვნა განხორციელებულია კოლეჯის საშტატო განრიგისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა დაცვით.<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** კოლეჯის საშტატო ერთეულების დანიშვნა განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციის დებულების მეექვსე თავის (პერსონალის მართვა) მუხლი 2(ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დანიშვნის წესი) მოთხოვნების დაცვით დირექტორის 2017 წლის 12 სექტემბრის ბრძანება N 60;<br>3. **ხარვეზი გასწორებულია:** შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 46 დამტკიცებულია ახალი საშტატო განრიგი, საშტატო განრიგში განსაზღვრული საშტატო თანამდებობებსა და სხვადასხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული საშტატო თანამდებობების დასახელებები ერთმანეთს ემთხვევა;<br>4. **ხარვეზი გასწორებულია:** კოლეჯის ადამიანური რესურსების პირად საქმეებში განთავსებულია პირადი განცხადებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| კოლეჯის არც ერთი თანამშრომელი თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი არ არის დანიშნული ბრძანების საფუძველზე. მათთან გაფორმებულია მხოლოდ შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებები.<br>3. აცდენებია, საშტატო განრიგში განსაზღვრულ საშტატო თანამდებობებსა და სხვადასხვა შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ საშტატო თანამდებობების დასახელებებს შორის. სტრუქტურა არ ემთხვევა საშტატო განრიგს და შინაგანაწესს.<br>4. კოლეჯის ადამიანური რესურსების პირად საქმეებში არ ფიგურირებს წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების ეტაპის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლის მხრიდან გამოთქმული ყოფილიყო თავისუფალი ნება დაემყარებინათ ერთმანეთთან სახელშეკრულებო შრომითი თუ მომსახურებითი ურთიერთობები, შემოწმებული ყოფილიყო დამსაქმებლის/მენარდის მხრიდან დამსაქმებლის/შემსრულებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემსრულებელი/დასაქმებული გაცნობოდა იმ პირობებს, რომელსაც მას სთავაზობდა მენარდე/დამსაქმებელი და ა.შ. | კოლეჯის დირექტორის სახელზე, სამსახურში მიღების თაობაზე; |

**დასტურდება:**

1.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 46 დამტკიცებულია საშტატო განრიგი;

2.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის N58 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციის დებულება;

3.პერსონალის პირადი საქმეები;

**3.1.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში
განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:** | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს:** |
|---|---|
| 1. პროფესიული მასწავლებლების დიდი უმრავლესობა ასწავლის 7- 8 საგანს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია ზოგიერთ შემთხვევში შეუსაბამოა სასწავლო საგანთან. მაგ, ეკონომისტის კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი დანიშნულია ბაგა-ბაღის მოდულურ პროგრამის მასწავლებლად. ასევე, ზოგადი პროფილის მქონე კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელსაც არ აქვს პროფესიული ლიცენზია ასწავლის თითქმის ყველა ჯანდაცვის მიმართულების მოდულებს. | 1. **ხარვეზი გასწორებულია:** ნანა ხარაიშვილი რომელიც არის ზოგადი პროფილის ექიმის კვალიფიკაციის მქონე კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს: პირველადი სამედიცინო დახმარება, ბიოეთიკა, ფიზიოლოგია, გერიატრია, ფიზიოთერაპია და სასწავლო პრაქტიკა; მისი პირადი საქმის შესწავლით დადგინდა რომ კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან; **ბელა გუჯეჯიანი რომელიც არის ზოგადი პროფილის ექიმი** და ბებიაქალი კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს: ავადმყოფის მოვლა, სასწავლო პრაქტიკა, პედიატრია, თერაპია,ნერვული დაავადებები და ფსიქიატრია, მისი პირადი საქმის შესწავლით დადგინდა რომ კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან; ეკონომისტის კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი თამარ ელენე გოგიშვილი დანიშნულია ბაგა-ბაღის აღმზრდელი—პედაგოგის მოდულურ პროგრამის მეწარმეობის მოდულის მასწავლებლად, მას ასევე აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება რითაც დასტურდება, რომ მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან; |

**დასტურდება:**
პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები

**3.2.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

**3.4** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

| **წინა მონიტორინგის ჯგუფის შეფასება:** | **ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს:** |
|---|---|
| 1. საშტატო განრიგის მიხედვით სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი სავალდებულოა იყოს შესაბამისი პროფილის უმაღლესი ან საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი. კოლეჯის მიერ განხორციელებულ ზაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროგრამას ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი [redacted] , რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ამ სფეროში. იგივე მდგომარეობაა ბანკის მოლარე ოპერატორის პროგრამაზეც, რომლის ხელმძღვანელიც არის ქართული ენის ფილოლოგი ქ-ნი [redacted] რომელიც ასწავლის ქართულ ენას. კოლეჯის ვებ გვერდზე 2017 წლის 04 აპრილს განთავსებულია ვაკანსია ზაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული პროგრამის მასწავლებლის პოზიციაზე, თუმცა ვაკანსიის ფარგლებში არ არის დეტალურად გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები, დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა (ელექტრონული, ქაღალდის მატარებელზე და ა.შ.). ასევე არ მოიძებნა დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა კონკურსის ჩატარებას.<br>2. არ არსებობს პროგრამის ხელმძღვანელად დანიშვნის რაიმე დოკუმენტი. სასწავლო დაწ.-ზის ხელმძღვენელების განმარტებით პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება პროგრამასთან ერთად.<br>3. საშტატო განრიგის მიხედვით ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნა ხდება დირექტორის ბრძანებით და ფორმდება ხელშეკრულება. | 1. **ხარვეზი გასწორებულია:** შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 46 დამტკიცებულია ახალი საშტატო განრიგი, სადაც პროგრამის ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ახალი რედაქციით(**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:** პროფესიულ მასწავლებელად მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება, რომელიც მოიცავს როგორც საშტატო პოზიციების დასახელებას, ასევე თანამდებობრივ ინსტრუქციებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) არის წარმოდგენილი და შესაბამისად ამ ჩანაწერით პროგრამის ხელმძღვანელების საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკმაყოფილებულია; მოლარის საგნობრივი პროგრამის ხელმძღვანელადაც დამტკიცებულია [redacted]ი კვლიფიკაციით თარჯიმან რეფერენტი(ინგლისური ენა) რომლის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა დარგის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება 2007 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, რითაც დასტურდება, რომ მისი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან;<br>2. **ხარვეზი გასწორებულია:** დაწესებულებამ წარმოადგინა 2017 წლის 29 სექტემბრის დირექტორის N67 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| კოლეჯის ადმინისტრაციას არ წარმოუდგენია პრაქტიკის მასწავლებლების დანიშვნის ბრძანებები. რაც შეეხება ხელშეკრულებას, მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება, თუმცა რეალურად იგი წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას, ამას ადასტურებს ხელშეკრულებაში მითითებული ხელშემკვრელი მხარეების დასახელება, ხელშეკრულებაში გამოყენებული ფრაზები „შრომითი ხელშეკრულება" და ა.შ. | 3. **ხარვეზი გასწორებულია:** დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქიკის ხელმძღვანელების დანიშვნის ბრძანება, ასევე მათთან გაფორმებული მომსახურეობის ხელშეკრულებები; |

**დასტურდება:**

1.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N 46 დამტკიცებული ახალი საშტატო განრიგი;

2.2017წლის 29 სექტემბრის დირექტორის N67 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;

3.პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები;

**3.4.ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია;**

14.11.2017 წ
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ბ.ა.